

## დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ელკო დისტრიბუშენ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

## სარჩევი

|                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                                   | 3  |
| პირობითი მოსაზრება.....                                                 | 3  |
| პირობითი მოსაზრების საფუძველი .....                                     | 3  |
| სხვა ინფორმაცია .....                                                   | 3  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე .....            | 4  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ..... | 4  |
| დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ .....  | 4  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                      | 6  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                | 7  |
| კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება .....                        | 8  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....                             | 9  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....              | 10 |
| ძირითადი საქმიანობა .....                                               | 10 |
| მომზადების საფუძვლები .....                                             | 10 |
| მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი .....                      | 10 |
| ფუნქციონირებადი საწარმო .....                                           | 10 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება .....                           | 11 |
| უცხოური ვალუტის ოპერაციები.....                                         | 11 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                        | 12 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები .....                                    | 12 |
| მოგების გადასახადი .....                                                | 12 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი .....                                 | 13 |
| ძირითადი საშუალებები.....                                               | 13 |
| საინვესტიციო ქონება .....                                               | 14 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                      | 14 |
| საწესდებო კაპიტალი .....                                                | 15 |
| სესხები .....                                                           | 15 |
| შემოსავალი.....                                                         | 15 |
| თვითღირებულების ხარჯები .....                                           | 16 |
| ხარჯები.....                                                            | 16 |
| პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები .....    | 16 |
| პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები .....                                 | 19 |
| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....                                 | 19 |
| ბალანსის შემდგომი მოვლენები.....                                        | 20 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის დამფუძნებლებს

#### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის 2 ივნისს და ამდენად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2024 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფლობილი მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

#### მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ბალანსის შემდგომი პერიოდის მოვლენების ქვეთავში გამჟღავნებულ გარემოებაზე. კომპანიაში 2025 წლის მარტის თვეში დაინიშნა შემოსავლების სამსახურის შემოწმება, რომელიც ამოწმებს კომპანიის 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის კონტროლირებული ოპერაციების შეფასებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ასეთი ტიპის ოპერაციები კომპანიის საქმიანობაში არსებითი ღირებულებისაა და ამავდროულად შემოწმება არ არის ჯერ დასრულებული ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა ექნება თუ არა ამ ფაქტს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ გარემოების გამო მოსაზრების მოდიფიცირება არ მომხდარა.

#### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. გარდა ქვემოთ ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ მთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.



## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

*შპს ფინანსური მართვის ჯგუფი ( # SARAS-F-340628)*

*გელა ჩადუნელი ( # SARAS-A-317228)*

*25 სექტემბერი, 2025*

*თბილისი, საქართველო*

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

ბელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს ელკო დისტრიბუშენ  
სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                    | შენიშვნა | 2024               | 2023               |
|------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან           | 3        | 23 260 544         | 44 680 795         |
| გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | 4        | (22 512 851)       | (42 703 783)       |
| <b>მთლიანი მოგება</b>              |          | <b>747 693</b>     | <b>1 977 012</b>   |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები  | 5        | (2 018 709)        | (3 344 984)        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები        |          | 212 112            | 723 636            |
| სხვა საოპერაციო ხარჯები            |          | (133 004)          | (297 734)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>           |          | <b>(1 191 909)</b> | <b>(942 071)</b>   |
| ფინანსური შემოსავლები              |          | 10 097             | 9 147              |
| ფინანსური ხარჯები                  | 6        | (970 483)          | (682 369)          |
| <b>მოგება დაბერგვრამდე</b>         |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი          |          | -                  | -                  |
| <b>წმინდა მოგება</b>               |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი              |          | -                  | -                  |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>        |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |

\* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ი. დოლოტოვსკი

მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუშენ  
სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                    | შენიშვნა | 2024               | 2023               |
|------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან           | 3        | 23 260 544         | 44 680 795         |
| გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | 4        | (22 512 851)       | (42 703 783)       |
| <b>მთლიანი მოგება</b>              |          | <b>747 693</b>     | <b>1 977 012</b>   |
| საერთო და აღმნიშვნითი ხარჯები      | 5        | (2 018 709)        | (3 344 984)        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები        |          | 212 112            | 723 636            |
| სხვა საოპერაციო ბარჯები            |          | (133 004)          | (297 734)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>           |          | <b>(1 191 909)</b> | <b>(942 071)</b>   |
| ფინანსური შემოსავლები              |          | 10 097             | 9 147              |
| ფინანსური ხარჯები                  | 6        | (970 483)          | (682 369)          |
| <b>მოგება დაბერვამდე</b>           |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |
| მოგების გადასახდის ხარჯი           |          | -                  | -                  |
| <b>წმინდა მოგება</b>               |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი              |          | -                  | -                  |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>        |          | <b>(2 152 295)</b> | <b>(1 615 293)</b> |

\* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბრის შემსველი პირების მიერ:

  
დირექტორი - ი. დილოტოვსკი



  
მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე



შპს ელკო დსიტრიბუშენ  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                         | შენიშვნა | 31.12.2024         | 31.12.2023         |
|-----------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                    |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივი</b>              |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებები                    | 7        | 3 378 515          | 3 461 434          |
| არამატერიალური აქტივები                 |          | 77                 | 997                |
| საინვესტიციო ქონება                     | 8        | 1 655 220          | 1 689 000          |
| <b>სულ გრძელვადიან აქტივები</b>         |          | <b>5 033 811</b>   | <b>5 151 432</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>               |          |                    |                    |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები          | 9        | 2 421 741          | 4 386 098          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 10       | 5 930 293          | 4 416 543          |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 11       | 189 828            | 1 089 344          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>           |          | <b>8 541 862</b>   | <b>9 891 985</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>13 575 673</b>  | <b>15 043 416</b>  |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 249 872            | 249 872            |
| გაუნაწილებელი მოგება                    |          | (8 442 887)        | (6 290 592)        |
| გადაფასების რეზერვი                     |          | 1 317 723          | 1 317 723          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     |          | <b>(6 875 292)</b> | <b>(4 722 997)</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                    |          |                    |                    |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>          |          |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 12       | 20 333 463         | 16 819 762         |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          | 117 502            | 101 044            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები         | 13       | -                  | 2 845 607          |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>      |          | <b>20 450 965</b>  | <b>19 766 413</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>20 450 965</b>  | <b>19 766 413</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>    |          | <b>13 575 673</b>  | <b>15 043 416</b>  |

\* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ი. დოლოტოვსკი

მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                        | შენიშვნა | 31.12.2024         | 31.12.2023         |
|----------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                        |          |                    |                    |
| გრძელვადიანი აქტივი                    |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებები                   | 7        | 3 378 515          | 3 461 434          |
| არამატერიალური აქტივები                |          | 77                 | 997                |
| საინვესტიციო ქონება                    | 8        | 1 655 220          | 1 689 000          |
| <b>სულ გრძელვადიან აქტივები</b>        |          | <b>5 033 811</b>   | <b>5 151 432</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>              |          |                    |                    |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები         | 9        | 2 421 741          | 4 386 098          |
| საჯარო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 10       | 5 930 293          | 4 416 543          |
| ფული და ფულის ექვივალენტები            | 11       | 189 828            | 1 089 344          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>          |          | <b>8 541 862</b>   | <b>9 891 985</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                    |          | <b>13 575 673</b>  | <b>15 043 416</b>  |
| <b>კაპიტალი</b>                        |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                     |          | 249 872            | 249 872            |
| გაუნაწილებელი ზოგება                   |          | (8 442 887)        | (6 290 592)        |
| გადაფასების რეზერვი                    |          | 1 317 723          | 1 317 723          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                    |          | <b>(6 875 292)</b> | <b>(4 722 997)</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                   |          |                    |                    |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>         |          |                    |                    |
| საჯარო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 12       | 20 333 463         | 16 819 762         |
| საკადასრადო ვალდებულებები              |          | 117 502            | 101 044            |
| მიმდინარე სასესიო ვალდებულებები        | 13       | -                  | 2 845 607          |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>     |          | <b>20 450 965</b>  | <b>19 766 413</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>               |          | <b>20 450 965</b>  | <b>19 766 413</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>   |          | <b>13 575 673</b>  | <b>15 043 416</b>  |

\* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბრის შემოწმების მიერ:

  
დირექტორი - ი. დამოტოვსკი



  
მთავარი მენეჯერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუშენ  
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | გადაფასების<br>რეზერვი | სულ         |
|-----------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------------|-------------|
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (4 675 299)             | 1 317 723              | (3 107 704) |
| მთლიანი სრული ზარალი              | -                     | (1 615 293)             | -                      | (1 615 293) |
| გადაფასების რეზერვის ზრდა         | -                     | -                       | -                      | -           |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (6 290 592)             | 1 317 723              | (4 722 997) |
| მთლიანი სრული ზარალი              | -                     | (2 152 295)             | -                      | (2 152 295) |
| გადაფასების რეზერვის ზრდა         | -                     | -                       | -                      | -           |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (8 442 887)             | 1 317 723              | (6 875 292) |

\* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ი. დოლოტოვსკი

მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუციონი  
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | გადაფასების<br>რეზერვი | სულ         |
|-----------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------------|-------------|
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (4 675 299)             | 1 317 723              | (3 107 704) |
| მთლიანი სრული ზარალი              | -                     | (1 615 293)             | -                      | (1 615 293) |
| გადაფასების რეზერვის ზრდა         | -                     | -                       | -                      | -           |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (6 290 592)             | 1 317 723              | (4 722 997) |
| მთლიანი სრული ზარალი              | -                     | (2 152 295)             | -                      | (2 152 295) |
| გადაფასების რეზერვის ზრდა         | -                     | -                       | -                      | -           |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 249 872               | (8 442 887)             | 1 317 723              | (6 875 292) |

\* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

  
 დირექტორი - ი. დიდოტროვსკი



  
 მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                                                                             | მენიშვნა | 2024               | 2023               |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                             |          |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                          |          | (2 152 295)        | (1 615 293)        |
| კორექტირება:                                                                                |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                                                                 | 7        | 79 684             | 122 057            |
| არამატერიალური აქტივების ცვეთა                                                              |          | 921                | 921                |
| საპროცენტო ხარჯი                                                                            | 6;13     | 109 255            | 380 630            |
| წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან                                                        | 6        | 852 980            | 321 874            |
| მოთხოვნების ანარიცხები                                                                      | 10       | 128 003            | 558 936            |
| საინვესტიციო ქონების გაუფასურება                                                            | 8        | 33 780             | -                  |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა                                                    |          | -                  | 223 616            |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე</b> |          | <b>(947 672)</b>   | <b>(7 258)</b>     |
| სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანების ზრდა                                                 |          | (1 469 073)        | 5 858 217          |
| სასაქონლო-მატერიალურ მარაგების შემცირება                                                    |          | 1 964 357          | (1 926 140)        |
| გადასახადების ზრდა                                                                          |          | 16 458             | (464 934)          |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანების ზრდა                                                |          | 2 575 884          | (1 505 971)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                      |          | <b>2 139 954</b>   | <b>1 953 914</b>   |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                           |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების მიღება                                                                | 7        | (8 265)            | (126 367)          |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                                                                | 7        | 11 500             | 2 183              |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                    |          | <b>3 235</b>       | <b>(124 183)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                              |          |                    |                    |
| სესხის აღება                                                                                | 13       | -                  | 2 625 200          |
| ნასესხები სახსრების დაფარვა                                                                 | 13       | (2 839 386)        | (4 046 089)        |
| გადახდილი პროცენტი                                                                          | 13       | (129 391)          | (375 546)          |
| <b>სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                          |          | <b>(2 968 777)</b> | <b>(1 796 434)</b> |
| ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი                                       |          | (73 928)           | (195 075)          |
| <b>ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება</b>                                            |          | <b>(899 516)</b>   | <b>(161 779)</b>   |
| ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში                                             |          | 1 089 344          | 1 251 123          |
| <b>ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს</b>                                            |          | <b>189 828</b>     | <b>1 089 344</b>   |

\* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ი. დოლოტოვსკი

მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე



შპს ელკო დისტრიბუშენ  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

|                                                                                      | შენიშვნა | 2024        | 2023        |
|--------------------------------------------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                                             |          |             |             |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                   |          | (2 152 295) | (1 615 293) |
| კორექტირება:                                                                         |          |             |             |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                                                          | 7        | 79 684      | 122 057     |
| არამატერიალური აქტივების ცვეთა                                                       |          | 921         | 921         |
| საპროცენტო ხარჯი                                                                     | 6;13     | 109 255     | 380 630     |
| წმინდა მოგება საკალუტო ოპერაციებიდან                                                 | 6        | 852 980     | 321 874     |
| მოთხოვნების ანაზღაურებები                                                            | 10       | 128 003     | 558 936     |
| საინვესტიციო ქოლების გაუფასურება                                                     | 8        | 33 780      | -           |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა                                             |          | -           | 223 616     |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე |          | (947 672)   | (7 258)     |
| სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანების ზრდა                                          |          | (1 469 073) | 5 858 217   |
| სასაქონლო-მატერიალურ მარაგების შემცირება                                             |          | 1 964 357   | (1 926 140) |
| გადასახადების ზრდა                                                                   |          | 16 458      | (464 934)   |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანების ზრდა                                         |          | 2 575 884   | (1 505 971) |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                                      |          | 2 139 954   | 1 953 914   |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან                                           |          |             |             |
| ძირითადი საშუალებების მიღება                                                         | 7        | (8 265)     | (126 367)   |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                                                         | 7        | 11 500      | 2 183       |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან                                    |          | 3 235       | (124 183)   |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                              |          |             |             |
| სესხის აღება                                                                         | 13       | -           | 2 625 200   |
| ნასესხები სახსრების დაფარვა                                                          | 13       | (2 839 386) | (4 046 089) |
| გადახდილი პროცენტი                                                                   | 13       | (129 391)   | (375 546)   |
| სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                          |          | (2 968 777) | (1 796 434) |
| ფულადი და ფულადი ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი                              |          | (73 928)    | (195 075)   |
| ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება                                            |          | (899 516)   | (161 779)   |
| ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში                                      |          | 1 089 344   | 1 251 123   |
| ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს                                            |          | 189 828     | 1 089 344   |

\* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

  
 დირექტორი - ი. დილოტოვსკი



  
 მთავარი ბუღალტერი - თ. ხელაძე

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ელკო დისტრიბუშენ“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2009 წლის 10 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზაღალას ქ. N3. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს დანიაში რეგისტრირებული შუალედური პასუხისმგებლობის საზოგადოება ელკორ სოლუშენს, CVR-NR 33075375, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ევგენი მოროზოვი. კომპანიის დირექტორს წარმოადგენს იგორ დოლოტოვსკი.

ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული საქონლით: კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით (პრინტერი, აქსესუარები), მობილური ტელეფონებითა და პროგრამული უზრუნველყოფით.

### მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე (მსს ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

### შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

- კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე (მსს ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.
- რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

### 2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

#### ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში შემცირებული შემოსავლების და გაზრდილი ვალდებულებების მიუხედავად, მენეჯმენტს არ აქვს მოლოდინი რომ კომპანიის ფუნქციონირებადობა რისკ ქვეშ დადგება, ვინაიდან დაწყებული აქვს ახალი პარტნიორების მოძიება, ასევე ხარჯების შემცირება იმისათვის რომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები გაუმჯობესდეს და რისკების პრევენცია განხორციელდეს. კომპანიის მენეჯმენტს არ აქვს განზრახვა ოპერაციების შეზღუდვის ან რაიმე სხვა ფორმით მისი საოპერაციო გარემოს შეჩერების, რის გამოც წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

#### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება**

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

**უცხოური ვალუტის ოპერაციები**

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

**ვალუტის გაცვლითი კურსი**

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                   | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------|-------------------|-------------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.8068            | 2.6894            |
| ლარი/1 ევრო       | 2.9306            | 2.9753            |

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება ალიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა უიმედო მოთხოვნა ხარჯად არის აღიარებული და ასახული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც ის წამოიშვა.

## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

## მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.



მპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

## საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

## ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული უძრავი და მოძრავი ქონება მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციოს ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

## პერიოდის ცვეთის ხარჯი

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ამენებელი აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის დარიცხვა კომპანიაში ხორციელდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

- ოფისის აღჭურვილობა - 5-20 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 5-20 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.



შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და  
ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

## საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიულ ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი შეადგენს 40 წელს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

## გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღიარებულია თვითღირებულებით და არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

## სესხები

სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საწარმომ სრულად დაფარა მის ბალანსზე არსებული სასესხო ვალდებულებები.

## შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- (გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს გაყიდული მარაგების რაოდენობის შესაბამისად აკუმულირებულ ხარჯებს, რომელიც გამოანგარიშებულია მარაგების საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

| შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან          | 2024       | 2023       |
|------------------------------------------------|------------|------------|
| შემოსავალი კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციიდან | 21 716 850 | 44 686 974 |
| შემოსავალი ექპორტიდან                          | 1 695 279  | 289 440    |
| სხვა შემოსავლები რეალიზაციიდან                 | -          | 1 014      |
| გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება ფასდათმობა    | (151 585)  | (296 633)  |
| სულ შემოსავალი რეალზიაციიდან                   | 23 260 544 | 44 680 795 |

| შენიშვნა 4 - გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | 2024       | 2023       |
|-------------------------------------------------|------------|------------|
| კომპიუტერული ტექნიკის თვითღირებულების ხარჯები   | 22 512 040 | 42 607 415 |
| სხვა თვითღირებულების ხარჯები                    | 811        | 96 368     |
| სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება          | 22 512 851 | 42 703 783 |

| შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები  | 2024      | 2023      |
|-------------------------------------------------|-----------|-----------|
| პერსონალის ხარჯები                              | 1 332 477 | 1 793 166 |
| მარკეტინგული ხარჯები                            | 46 925    | 457 032   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                            | 114 385   | 122 978   |
| საბანკო ხარჯები                                 | 10 384    | 58 887    |
| კომუნალური ხარჯები                              | 40 413    | 32 968    |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                       | 1 304     | 26 013    |
| მივლინების ხარჯები                              | 9 556     | 21 484    |
| კომუნიკაციის ხარჯები                            | 15 870    | 20 594    |
| საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა | 72 598    | 23 138    |
| საექვო მოთხოვნების ანარიცხები                   | 128 003   | 558 936   |
| სხვა საერთო ხარჯები                             | 246 795   | 229 788   |
| სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები           | 2 018 709 | 3 344 984 |

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| შენიშვნა 6 - ფინანსური ხარჯი              | 2024    | 2023    |
|-------------------------------------------|---------|---------|
| საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე       | 109 255 | 360 495 |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი | 861 228 | 321 874 |
| სულ ფინანსური ხარჯი                       | 970 483 | 682 369 |

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

|                            | მიწა      | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობა | ოფისის<br>აღჭურვილობა<br>და ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ჯამი      |
|----------------------------|-----------|-----------------------------|---------------------|---------------------------------------|-----------------------------|-----------|
| საწყისი ღირებულება         |           |                             |                     |                                       |                             |           |
| თვითღირებულება             | 1 452 153 | -                           | 1 846 902           | 340 437                               | 99 477                      | 3 738 969 |
| ცვეთა                      | -         | -                           | (8 447)             | (241 770)                             | (29 444)                    | (279 661) |
| ბალანსი 31/12/2022         | 1 452 153 | -                           | 1 838 456           | 98 667                                | 70 033                      | 3 459 308 |
| დაანაბრება                 |           |                             |                     |                                       |                             |           |
| დაანაბრება                 | -         | 89 175                      | -                   | 37 192                                | -                           | 126 367   |
| აქტივების ჩამოწერა         | -         | -                           | -                   | (6 287)                               | -                           | (6 287)   |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -         | -                           | (70 718)            | (35 490)                              | (15 850)                    | (122 057) |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -         | -                           | -                   | 4 104                                 | -                           | 4 104     |
| ბალანსი 31/12/2023         | 1 452 153 | 89 175                      | 1 767 737           | 98 186                                | 54 183                      | 3 461 434 |
| დაანაბრება                 |           |                             |                     |                                       |                             |           |
| დაანაბრება                 | -         | -                           | -                   | 8 265                                 | -                           | 8 265     |
| აქტივების ჩამოწერა         | -         | -                           | -                   | -                                     | (22 258)                    | (22 258)  |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -         | -                           | (36 938)            | (30 607)                              | (12 140)                    | (79 684)  |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -         | -                           | -                   | -                                     | 10 758                      | 10 758    |
| ბალანსი 31/12/2024         | 1 452 153 | 89 175                      | 1 730 799           | 75 845                                | 30 543                      | 3 378 515 |
| ბალანსი 31/12/2023         | 1 452 153 | 89 175                      | 1 767 737           | 98 186                                | 54 183                      | 3 461 434 |
| ბალანსი 31/12/2024         | 1 452 153 | 89 175                      | 1 730 799           | 75 845                                | 30 543                      | 3 378 515 |

| შენიშვნა 8 - საინვესტიციო ქონება | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|----------------------------------|------------|------------|
| 1 იანვარი                        | 1 689 000  | 1 353 600  |
| კორექტირება                      | -          | -          |
| შემოსვლა                         | -          | 335 400    |
| გასვლა                           | -          | -          |
| გაუფასურების შედეგი              | (33 780)   | -          |
| 31 დეკემბერი                     | 1 655 220  | 1 689 000  |

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|---------------------------------------------|------------|------------|
| სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი          | 2 386 732  | 4 351 082  |
| ნედლეული და მასალები                        | 35 009     | 35 016     |
| სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები          | 2 421 741  | 4 386 098  |

| შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|------------------------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                   | 5 138 531  | 3 748 789  |
| წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე                    | 1 478 701  | 1 226 690  |
| საექვო ვალების რეზერვი                               | (686 939)  | (558 936)  |
| სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება           | 5 930 293  | 4 416 543  |

პერიოდის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნებში იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები ასახულია პერიოდის ხარჯებად.

|                                | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------------|------------|------------|
| 1 იანვარი                      | (558 936)  | -          |
| გაუფასურების რეზერვის ცვლილება | (128 003)  | (558 936)  |
| 31 დეკემბერი                   | (686 939)  | (558 936)  |

| შენიშვნა 11 - ფული და ფულის ექვივალენტები | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------------------------------|------------|------------|
| ფული ხელზე                                | 111        | 19 142     |
| ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე       | 189 181    | 1 066 319  |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე        | 536        | 3 883      |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები           | 189 828    | 1 089 344  |

| შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                 | 20 197 208 | 16 676 162 |
| მიღებული ავანსები                                     | 102 192    | 76 603     |
| გადასახდელი ხელფასები                                 | 34 063     | 66 997     |
| სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება           | 20 333 463 | 16 819 762 |

შენიშვნა 13 - სასესხო ვალდებულებები

გასულ საანგარიშო პერიოდში კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სასესხო ვალდებულებები ლარში და დოლარში, რომლებიც მიმდინარე პერიოდში სრულად დაფარა საწარმომ.

|                              | ვალუტა | საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალიანობა  | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|------------------------------|--------|-------------------------|------------|------------|------------|
| სს საქართველოს ბანკი 9572320 | USD    | 11.2%                   | 09.04.2024 | -          | 2 044 690  |
| სს საქართველოს ბანკი 7206096 | USD    | 5%                      | 25/04/2024 | -          | 111 647    |
| სს საქართველოს ბანკი 8446142 | GEL    | 14.9%                   | 20/06/2024 | -          | 669 134    |
| სულ ნასესხები სახსრები       |        |                         |            | -          | 2 825 471  |



შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სესხებზე განხორციელებული მოძრაობა საანგარიშო პერიოდში იყო შემდეგი:

|                                                     | 2024        | 2023             |
|-----------------------------------------------------|-------------|------------------|
| ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები | 2 845 607   | 4 240 516        |
| სესხის აღება                                        | -           | 2 625 200        |
| სესხზე დარიცხული პროცენტი                           | 109 255     | 380 630          |
| გადახდილი პროცენტი                                  | (129 391)   | (375 546)        |
| გადახდილი ძირი თანხა                                | (2 839 386) | (4 046 089)      |
| საკურსო სხვაობა                                     | 13 915      | 20 895           |
| <b>სულ ნასესხები სახსრები</b>                       | <b>-</b>    | <b>2 845 607</b> |
| გრძელვადიანი ნაწილი                                 | -           | -                |
| მოკლევადიანი ნაწილი                                 | -           | 2 845 607        |

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

სასამართლო დავა რომელმაც შესაძლოა რომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოიცავს დავას საწარმოს ყოფილ დირექტორთან ზურაბ ჭუმბურიძესთან და ყოფილ ბუღალტერთან ნინო მელაძესთან. დავის საგანს წარმოადგენს არსებითი ღირებულების ხელფასებისა და პრემიების უკანონო გადარიცხვები და ბანკის თავდებობა. აღნიშნული დავის შედეგებით შესაძლოა კომპანიას მიიღოს კომპენსაცია მაგრამ ეს შედეგები არ არის ასახული წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ვინაიდან არ არის შესაძლებელი წინასწარ საიმედოდ მისი შეფასება.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

შპს ელკო დისტრიბუშენ  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

| დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები: | 2024       | 2023       | ურთიერთობის სახე |
|-------------------------------------------|------------|------------|------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 17 723 950 | 13 998 240 | სკდს             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 269 447    | 98 009     | სკდს             |

| დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები: | 2024      | 2023       | ურთიერთობის სახე |
|-----------------------------------------------------|-----------|------------|------------------|
| მარაგების შეძენა                                    | 9 663 203 | 23 154 794 | სკდს             |
| მომსახურების შეძენა                                 | 5 082 403 | 2 896 603  | სკდს             |
| სხვა შემოსავალი                                     | 1 695 279 | 293 383    | სკდს             |

(\*) სკდს - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

| დარიცხული ხელფასი   | 2024    | 2023    |
|---------------------|---------|---------|
| წამყვანი მენეჯმენტი | 337 353 | 593 158 |

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში დაინიშნა საგადასახადო შემოწმება, რომლის მიზანიც არის 2022-2024 წლებში კომპანიაში განხორციელებული კონტროლირებული ოპერაციების შემოწმება. ანგარიშგებაზე ხელმოწერის თარიღში საგადასახადო ორგანოს მიერ ჯერ არ არის დასრულებული შემოწმება, შესაბამისად მისგან დამდგარი შედეგები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

2025 წლის ივლისში საწარმომ სს „თიბისი ლიზინგი“-სგან მიიღო 1,065,000 აშშ დოლარის სასესხო ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, კერძოდ დავით აღმაშენებლის ხეივანზე არსებული შენობით. 2025 წლის სექტემბერში მოხდა ამ ქონების გადაყიდვა შპს „ექსპერტ ჰაბ“-ზე, რომლისგანაც მიღებული თანხითაც აუდიტის ობიექტმა სრულად დაფარა სს „თიბისი ლიზინგ“-თან არსებული დავალიანება.

**შპს ელკო დისტრიბუშენ**

**ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება**

**საქმიანობის მიმოხილვა 2024 წელი**

**1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა**  
ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელკო დისტრიბუშენ“ ს/კ 205280667, შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 10.06.2009 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების #3.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია *Elcore Group B.V.* (ნიდერლანდები). კომპანია არის საერთაშორისო ჰოლდინგის შვილობილი კომპანია. დღეის მდგომარეობით ჰოლდინგი ახორციელებს იდენტურ საქმიანობას რამდენიმე ქვეყანაში (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი და მონღოლეთი).

კომპანიის საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით საბითუმო ვაჭრობა. კერძოდ: კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით (პრინტერები, აქსესუარები), მობილური ტელეფონებით, ტელევიზორებით, ქსელური მოწყობილობებით, საყოფაცხოვრებო. IT ტექნიკით და პროგრამული უზრუნველყოფით.

ცნობილია, რომ კონკურენცია საბითუმო (დისტრიბუციის) ბაზარზე, განსაკუთრებით კი IT ტექნიკის სეგმენტში, საქართველოში ძალიან მაღალია. ასევე, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში კომპანია იძულებულია კლიენტებს (პარტნიორ კომპანიებს) გაუწიოს ფინანსური სერვისი, რომელიც გამოიხატება ხანგრძლივ სასაქონლო კრედიტებში. ხშირ შემთხვევაში ეს პერიოდი შეადგენს 30 კალენდალურ დღეზე მეტს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ქვეყანაში კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების იმპორტს. აქედან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური შედეგები მკვეთრად დამოკიდებულია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობაზე. საანგარიშო პერიოდში ლარის კურსის გაუფასურებამ რამდენჯერმე გადააჭარბა კომპანიის სტანდარტული მოგების (ფასნამატის) ნორმას.

კომპანიის მიზანია გრძელვადიანი ბიზნეს ურთიერთობების დამყარება. რაც ორმხრივი სარგებლისა და წარმატების მომტანია. წლების განმავლობაში კომპანიამ წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი სადისტრიბუციო ბაზარზე და ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

**2. ბიზნეს ოპერაციები**

როგორც უკვე აღინიშნა, შპს ელკო დისტრიბუშენი არის ტექნიკის იმპორტიორი საქართველოში. პროდუქციის იმპორტი ხდება გერმანიიდან, ჩინეთიდან, ჩეხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

### 3. პროდუქცია

ყოველწლიურად ელკო დისტრიბუშენი მომხმარებლებს მუდმივად მზარდ ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანიის პორტფელშია ისეთი ბრენდები, როგორიცაა:



პროდუქცია იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ქსელური აპარატურა;
- სასერვერო ინფრასტრუქტურის პროდუქტები;
- მონიტორები;
- პრინტერები;
- უწყვეტი კვების ბლოკები;
- კომპიუტერის აქსესუარები;
- ტელევიზორები;
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემები;
- ქსელური აპარატურის გარანტიები;
- მაიკროსოფტისა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები;

#### 4. კომპანიის ძირითადი კონკურენტები

საქართველოში ტექნიკის ბაზარზე საკმაოდ მკაცრი კონკურენციაა. აქ ოპერირებენ როგორც მსხვილი, ასევე წვრილი იმპორტიორები.

კომპანიის ძირითად კონკურენტებად მიიჩნევა შემდეგი დისტრიბუტორები:

- მარველ ჯორჯია
- ევო დისტრიბუშენ
- მუკ თბილისი
- ალფა დისტრიბუშენ

#### 5. ორგანიზაციული სტრუქტურა

2024 წლის ბოლოსათვის კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 20 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა, მამრობითი სქესის.

| კომპანია                                                                            | სულ         | ქალი       | კაცი       |
|-------------------------------------------------------------------------------------|-------------|------------|------------|
|  | <u>20</u>   | <u>8</u>   | <u>12</u>  |
| %                                                                                   | <u>100%</u> | <u>40%</u> | <u>60%</u> |

შპს „ელკო დისტრიბუშენი“ ცდილობს იყოს მაქსიმალურად მობილური და რაც შეიძლება უკეთ მოემსახუროს საკუთარ კლიენტებს. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე თანამშრომლების უმრავლესობას წარმოადგენენ ბრენდ მენეჯერები.



კომპანიის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- დირექტორი;
- ფინანსური განყოფილება;
- შესყიდვებისა და გაყიდვების განყოფილება;
- ლოჯისტიკის განყოფილება;
- მარკეტინგის სამსახური;
- იურიდიული სამსახური.

ელკო დისტრიბუშენი მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლები სისტემატურად იგზავნებიან საერთაშორისო მივლინებებში სხვადასხვა სემინარებზე, პრეზენტაციებსა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად. ყველა თანამშრომელი მუდმივად ინფორმირებულია სფეროში მომხდარი უკანასკნელი ცვლილებების შესახებ და სხვა მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა, რის გამოც შპს ელკო დისტრიბუშენი რჩება მოწინავე კომპანიად ბაზარზე.

კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას ხუთვარსკვლავიანი დაზღვევით, რაც გულისხმობს პირადი სადაზღვევო აგენტის სერვისით სარგებლობას, მნიშვნელოვანი ფასდაკლებების მიღებას გეგმიურ სამედიცინო მომსახურებაზე და გადაუდებელი სამედიცინო პროცედურების უსასყიდლოდ ჩატარებას.

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები შედგება ფიქსირებული შრომის ანაზღაურებისაგან, პრემიებისგან, თანამშრომელთა დაზღვევაზე გაწეული ხარჯისგან. 2024 წელს შეიცვალა სახელფასო ხარჯი, აღნიშნული განპირობებულია საკადრო ოპტიმიზაციით, რომლის შედეგადაც შემცირდა თანამშრომლების რაოდენობა. ამ პროცესთან ერთად, კომპანიამ გააუმჯობესა დარჩენილი თანამშრომლების ანაზღაურება, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და პროდუქტიულობის ზრდას. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია სწორი საკადრო პოლიტიკა, მათ შორის ანაზღაურების ნაწილში. კომპეტენტური და კვალიფიციური კადრები რჩება კომპანიის წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად.

## 6. სამუშაო გარემოს უსაფრთხოება

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებას. 2024 წელსაც, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. გადამოწმდა და შრომის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ოფისის და საწყობის ინფრასტრუქტურა.

## 7. განვითარების გეგმები

- 2025 წელს დაგეგმილია საბაზრო წილის % ზრდა, გამომდინარე იქიდან, რომ საკადრო ცვლილებასა და გადამზადებაზე გაკეთდა დიდი აქცენტი, არსებული ბრენდების განვითარებასთან ერთად დაწყებულია მუშაობა ახალი ბრენდების დამატებაზე.
- კომპანიის ბიზნეს განვითარების მიმართულებით ხელშემწყობი ფაქტორია ასევე საკუთარი საბაჟო ზონა, რომელიც ბიზნესს დაეხმარება, ლოჯისტიკური ბიზნეს ოპერაციების მდგრადობაში და მოქნილობაში, ფინანსების უკეთ მართვასა და დაგეგმარებაში.

- დაგეგმილია კომპანიის სერვის ცენტრის მომსახურების გაუმჯობესება და ექსპერტიზის გაზრდა, რაც, შესაბამისად, გაზრდის პარტნიორების ლოიალურობას კომპანიის მიმართ.
- კომპანიაში დაგეგმილია კადრების მატება, კომპანიის ექსპერტიზის გაზრდისა და Value added distribution (დამატებითი ღირებულების განაწილება) – სახელის კიდევ უფრო წინ წამოწევისთვის. მიმართულება, რომელიც გარდა მიწოდებისა, საჭიროებს ასევე გაყიდვების წინა- და შემდგომ კონსულტაციებს, სერთიფიკაციასა და სწავლებას.

## 8. მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და გაურკვევლობები.

კომპანია, ყოველდღიური აქტივობის ფარგლებში, განიცდის სხვადასხვა ტიპის რისკის ზემოქმედებას. რისკების მართვა არის ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მომგებიანობა. ბაზარსა და კომპანიის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ხორციელდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა მათში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დადგენის მხრივ.

ელკო დისტრიბუშენის სავაჭრო პროდუქტი 99% იმპორტირებულია, შესაბამისად, ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან.

სავალუტო რისკი ტექნიკის ბაზრის ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ტექნიკის ბაზარი ხასიათდება მაღალი კონკურენციით, კომპანია ყველა მსხვილ იმპორტიორ კომპანიას განიხილავს კონკურენტად.

### დებიტორებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად დამოკიდებულია ცალკეული დებიტორის/კლიენტის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. მიუხედავად ინდივიდუალური რისკებისა, კომპანია ასევე ითვალისწინებს იმ ინდუსტრიის და ქვეყნის რისკებსაც, რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული დებიტორი/კლიენტი.

რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, კრედიტუნარიანობის დადგენის მიზნით, ახალი ხელშეკრულების/შეკვეთის გაფორმებამდე ხორციელდება კომპანიის ყველა კლიენტის ინდივიდუალური ანალიზი. კლიენტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტებს, კომპანიასთან ურთიერთობს მხოლოდ სრული საავანსო გადახდების მეშვეობით.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულებების დაფარვას გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით მუდმივად ახორციელებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დაგეგმვასა და შესაბამის ანალიზს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებულია ლიკვიდურობის რისკი კომპანია მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების, როგორც შემოსავლების, ასევე გასავლების დეტალურ დაგეგმვას და კონტროლს კვირის, თვის და კვარტლის შრილში. ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებამდე ხორციელდება ანალიზი, თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების შრილში ახალ ვალდებულებებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე კომპანია ლიკვიდურობის რისკის სამართავად იყენებს საბანკო სესხს.

**დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ**

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: იგორ დოლოტოვსკი

თარიღი: 25 სექტემბერი, 2025

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ  
კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით  
განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით  
შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება  
ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: იგორ დოლოტოვსკი

თარიღი: 25 სექტემბერი, 2025

